

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების მიმდინარე შეკეთებაზე და საცხოვრებელი სახლების ეზოებში ასფალტის საფარის დაგებაზე დეფექტური აქტების, შედგენის მომსახურეობის ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თბილისი

10 იანვარი 2019 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: \_ კომისიის თავმჯდომარე: \_ ი. ზავრადაშვილი

კომისიის წევრები: \_ ზ. უგულავა, ლ. ჭელიძე, მ. ვეკუა, თ. მაისურაძე, ზ. ზურაბაშვილი, ლ. ტყეშუჩავა.

**დღის წესრიგი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების მიმდინარე შეკეთებაზე და საცხოვრებელი სახლების ეზოებში ასფალტის საფარის დაგებაზე დეფექტური აქტების, შედგენის მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის, სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მონაცემების დამტკიცება.

**მოსმინეს:** ზ. უგულავას ინფორმაცია, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების მიმდინარე შეკეთებაზე და საცხოვრებელი სახლების ეზოებში ასფალტის საფარის დაგებაზე დეფექტური აქტების, შედგენის მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამოსაცხადებელი ტენდერის, სატენდერო დოკუმენტაციისა და ტენდერის ჩატარების შესახებ გამოსაქვეყნებელი განცხადების მონაცემები (სავარაუდო ღირებულებით 9912 ლარი). შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 25 დეკემბრამდე. ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს აუქციონის გარეშე (NAT), მანვე აღნიშნა, რომ შესყიდვის თავისებურებიდან (მომსახურების სპეციფიკიდან) გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული შესყიდვის ობიექტი წარმოადგენს ინტელექტუალურ მომსახურებას, ხოლო ინტელექტუალური მომსახურების დანახარჯებს ძირითადად წარმოადგენს ადამიანური რესურსის შრომითი გასამრჯელო, მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული ინტელექტუალური მომსახურება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

**აზრი გამოთქვა:** კომისიის წევრმა ლ. ტყეშუჩავამ, რომელმაც მთლიანად მოიწონა წარმოდგენილი განცხადების მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია. მას ერთხმად დაუჭირა მხარი კომისიის ყველა წევრმა.

**დაადგინეს:**

1 დამტკიცდეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების მიმდინარე შეკეთებაზე და საცხოვრებელი სახლების ეზოებში ასფალტის საფარის დაგებაზე დეფექტური აქტების, შედგენის მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაციის პაკეტი და სატენდერო განცხადების მონაცემები.

2) განცხადება აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს უახლოეს დღეებში.

კომისიის თავმჯდომარე:



ი. ზავრდაშვილი

კომისიის წევრები:



ზ. უგულავა



ლ. ჭელიძე



მ. ვეკუა



თ. მაისურაძე



ლ. ტყეშელაშვილი



ზ. ზურაბაშვილი